

ქ. ელენორ, ნ. ავალიანი

სამართლო ტენიანი გილე

ბულე  
ინფიცი-  
უადგრო  
ეადოდები

თ ბ ი ლ ი ს ი

ქ. ზღვისტი, ნ. ავალიანი

სამკურნალო ფანვარჯიშის პრეპრესები  
გინახე გულის ინფარქტის გადაცანის  
უგდებ I, II და III პერიოდები



გამოვიდა  
„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი  
1965

615 33

615 825 ს

ე 992

გულის ინფარქტი მძიმე დაავადებაა, მაგრამ თუ  
დაავადების მთელ მანძილზე მივყვებით ექიმის რჩევა-და-  
რიგებებს, მდგომარეობა საგრძნობლად შემსუბუქდება და  
გამოსწორდება. გულის ინფარქტის გადატანის შემდეგ უდი-  
დესი მნიშვნელობა აქვს ივაღმყოფის სწორ რეჟიმს, რო-  
მელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი ეკუთვნის სამკურნალო  
ტანგარჯიშს ბინაზე. სწორედ ამ ვარჯიშთა კომპლექსების  
დანიშნულების გამოყენებაზე მიგითითებთ ეს ბროშურა  
თვალსაჩინოდ და ყველასათვის გასაგებად.

კორონარული უკმარისობის ყველაზე მძიმე გამოვლინებას გულის კუნთის (მიოკარდიუმის) ინფარქტი წარმოადგენს. მისი წარმოშობის მიზეზია გულის მკვებავი კორონარული სისხლძარღვების თრომბოზი, რაც უხშირესად ათეროსკლეროზულად შეცვლილი გულის სისხლძარღვებში ვითარდება. უფრო იშვიათად ინფარქტი გვხვდება გულის კუნთის მკვებავი არტერიის ხანგრძლივი ფუნქციური სპაზმის შედეგად.

თრომბოზის ან ხანგრძლივი სპაზმის შედეგად წყდება მიოკარდის ამა თუ იმ ოდენობის უბნისათვის სისხლის მიწოდება, რაც კვების შეწყვეტას უდრის, ამას მოყვება ამ უბნის ნეკროზი (ცხოველმოქმედების შეწყვეტა). შემდეგ ეს ნეკროზული მიოკარდის მასა შეისრუტება და მის აღგილს იკავებს შემაერთებელი ქსოვილი, ვითარდება ნაწიბური.

გულის ინფარქტის დროს ავადმყოფობის ხანგრძლიობა და მისი მკურნალობა სტაციონარში ან ბინაზე დამოკიდებულია ინფარქტის სიდიდეზე და აღგილმდებარეობაზე, იგი მერყეობს 1—1,5 თვიდან 4 თვემდე.

ინფარქტით უფრო ხშირად ავადდებიან ჰიპერტონიით დაავადებული ავადმყოფები, თამბაქოს მწეველები ან ის პირები, რომლებიც ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას ეწევიან. ისინი კი, რომლებიც ეწევიან ფიზიკურ შრომას, შედარებით უფრო იშვიათად სწეულდებიან ამ დაავადებით.

ინფარქტის მქონე ავადმყოფებს მწვავე და ქვემწვავე პერიოდში დაავადების დაწყებიდან (12—21 დღე) ენიშნებათ მკაცრი მწოლიარე რეჟიმი, რათა აცდენილ იქნას დანეკროზებული გულის კუნთის მიღამოში ანევრიზმის განვითარება, ანდა დანეკროზებული გულის პარკუჭის კედლის გახევა.

უმოძრაობა ინფარქტის დროს ავადმყოფებში იწვევს საერთო მოდუნებას, კუნთების სისუსტეს, ფსიქიკის დათრგუნვას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დეტრენირებას და შრომის უნარის დაკარგვის შიშს.

გულის ინფარქტის დროს ავადმყოფებს ფიზიკური ვარჯიშები ენიშნებათ ექიმ-სპეციალისტის მიერ სამკურნალო ფიზკულტურის დარგში დაავადების დაწყებიდან 3-6-8 კვირის შემდეგ (ინფარქტის სიმძიმის მიხედვით), როდესაც მწვავე მოგლენები გაივლის, ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, როდესაც გულის არეში ტკივილები გაუქრება, მაჭისცემა, ტემპერატურა, სისხლის დალექვის რეაქცია და ლეიკოციტების რაოდენობა ნორმის ფარგლებშია, სისხლის წნევა არ მერყეობს და ელექტროკარდიოგრამა გვაძლევს დანაწიბურებისათვის დამახასიათებელ ცვლილებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური ვარჯიშის პირველი პროცესურის ჩატარებისას დასაწყისში ავადმყოფის კუნთების შეკუმშვის ძალა დაქვეითებული იქნება და ისინი აღვილად იღლებიან. ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნება მოძრაობის შეზღუდვა და ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების მკვეთრად გამოვლინება. ამ პერიოდში ვარჯიში ტარდება მეთოდისტის დახმარებით, რომელიც უნდა გამოძახებულ იქნეს საექიმო დაწესებულებიდან. სამკურნალო ტანვარჯიშის დოზირება გულის ინფარქტის დროს უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობას.

ფიზიკური ვარჯიშის სამკურნალო კურსი იყოფა სამ პერიოდად.

პირველ პერიოდს ეკუთვნის მწოლიარე რეჟიმი; იგი გრძელდება (მწვავე მოვლენების გავლის შემდეგ) 1-2 კვირამდე. ამ პერიოდის მიზანია: ნერვული სისტემისა და საყრდენი სამოძრაო აპარატის დაქვეითებული ფუნქციის აღდგენა და ფიზიკურ დატვირთვაზე გულსისხლძარღვთა სისტემის აღაპტაციის (შეგუების უნარის) თანდათან გამომუშავება.

მეორე პერიოდი ეკუთვნის ნახევრად მწოლიარე რეჟიმს, იგი გრძელდება 4—6 კვირამდე: ამ დროს ავადმყოფი ვარჯიშობს მწოლიარე (მაღალი სასთუმლით), ეჩვევა ჯდომას, ადგომას და გავლას.

მესამე პერიოდი ეკუთვნის საწროვნელ რეჟიმს. ამ დროს გულის კუნთში — დაზიანების ადგილზე ნაწიბურის წარმოშობა დამთავრებულია, მხოლოდ ადგილი აქვს გულის ფუნქციურ ცვლილებებს. ამ პერიოდიდან ხორციელდება ავადმყოფის გაწროვნა, სიარული და კიბეებზე ტრენირება.

მიკროინფარქტის დროს პირველ და მეორე პერიოდში მკურნალობის კურსი შეიძლება შემცირდეს ორიდან ერთ კვირამდე.

მძიმე ინფარქტის დროს მკურნალობის პერიოდი მეტად ინდი-

კიდუალურია და იგი ავადმყოფის მდგომარეობით არის გაპირობებული.

მწოლიარე რეჟიმისას მწვავე და ქვემწვავე პერიოდის დროს დიდი ყურადღება ექცევა ავადმყოფის კუჭის მოქმედების პროცედურას. ეს პროცედურა ტარდება ავადმყოფის აქტიური მონაწილეობის გარეშე: მომვლელი ავადმყოფს პასიურად უხრის ფეხს. 15—20 წამის შემდეგ მეორე ფეხს. შემდეგ წარმოებს ზემო კიდურების პასიური მოხრა იღავვებზე დაყრდნობით. ამის შემდეგ მომვლელი მოავლებს ორივე ხელს ავადმყოფის მენჯს და ასწევს ზემოთ. მას ერთდროულად ეხმარება მეორე პირი, რომელსაც ცრთი ხელი შემოვლებული აქვს ავადმყოფის წელზე; ხოლო მეორე ხელში უჭირავს სპეციალური ჭურჭელი, რომელსაც ათავსებს ავადმყოფის მენჯის ქვეშ. ჭურჭლის მოთავსებისას ავადმყოფმა უნდა გააკეთოს 2—3-ჯერ შესუნთქვა (სუნთქვითი ვარჯიში). კუჭის მოქმედების შემდეგაც ისევ უნდა გააკეთოს ასეთივე სუნთქვითი ვარჯიში.

ქვემწვავე (მესამე კვირის შემდეგ დაავადების დაწყებიდან) პერიოდში (ექიმის ნებართვით) შეიძლება ავადმყოფის გადაბრუნება, რაც ხორციელდება შემდეგნაირად: მომვლელი ავადმყოფს ნელა მოუხრის მარჯვენა ფეხს მუხლში გვერდით საწოლისაკენ დაშვებით. 15 წამის შემდეგ ასევე მოუხრის მეორე ფეხს მოხრილ ფეხზე დაშვებით. ამას მოყვება სხეულის პასიური ნახევრად მოხრა და ხელების გადანაცვლება იმავე მხარეს, მომვლელი ერთდროულად აცურებს ორივე ხელს ავადმყოფის სხეულის ქვეშ და გადააბრუნებს მას (ამ დროს შეიძლება გაკეთდეს ზურგის და წელის მასაჟი ნაწოლების აცდენის მიზნით). რამდენიმე წუთის შემდეგ პასიური უკუმიმდევრობითი მოძრაობით ავადმყოფს ისევ აბრუნებენ ზურგზე. ასეთ გადაბრუნებას აწარმოებენ აგრეთვე ოყნის გაკეთების დროს.

ჩვენ მიერ მოწოდებული სამკურნალო ტანვარჯიშის სამი კომპლექსი გულის ინფარქტის შემდგომ პერიოდში (მწვავე მოვლენების გავლის შემდეგ) განლაგებულია თანმიმდევრულად მზარდი სიძნელეების მიხედვით. სამკურნალო ტანვარჯიშის პროცედურა უნდა ჩატარდეს ყოველდღე 10—15—20 წუთის ხანგრძლიობით. ვარჯიშები უნდა ტარდებოდეს სრულ ტანსაცმელში დილით, უზმოზე (ოთახის წინასწარი განიავებისა და ტუალეტის შემდეგ) ან დღისით საჭმლის მიღებიდან 2 საათის შემდეგ. ვარჯიშების ჩატა-

რების დროს უნდა დაცულ იქნას კომპლექსში მოცემულ მოძრაობათა ტემპი და მოძრაობის გამეორების მინიმალური და მაქსიმალური რიცხვები. პირველი ორი-სამი დღის განმავლობაში აუცილებელია დატვირთვა მცირე დოზებით, ანუ თვითეული ვარჯიში გამეორდეს მინიმალური რაოდენობით, უფრო მოგვიანებით კი როდესაც ავადმყოფს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური შესაძლებლობა ანუ კუნთურ მუშაობაზე აღაპტაციის უნარი გაუმჯობესდება, საშუალება შეიქმნება ვარჯიშების მეტჯერ გამეორებისა და ვარჯიშთა შორის პაუზების შემცირებისას შეიძლება თანდათან საშუალო ინტენსივობის დატვირთვაზე გადასვლა. იქ, სადაც არაა ნაჩვენები მოძრაობების შეფარდება სუნთქვასთან, უნდა ვაწარმოოთ ნებისმიერი სუნთქვა. სუნთქვითი ვარჯიშები უნდა იყოს რიტმული, შესუნთქვა უნდა წარმოებდეს ცხვირით, ხოლო გახანგრძლივებული ამოსუნთქვა — პირით. ვარჯიშის დროს არ უნდა ხდებოდეს სუნთქვის შეჩერება.

თვითკონტროლის მიზნით საჭიროა შემოწმდეს მაჯისცემის სიხშირე (15 წამის განმავლობაში) ვარჯიშობამდე, ვარჯიშის პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ და გაიზომოს სისხლის წნევა პირველი სამი დღე ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ. თუ მაჯისცემის სიხშირე საწყისში უდრის 70, ვარჯიშის პროცესში იგი არ უნდა აღემატებოდეს წუთში 90, ხოლო ვარჯიშის დამთავრებისას იგი უნდა უბრუნდებოდეს თავის საწყის მდგომარეობას. სისხლის წნევამ ვარჯიშის შემდეგ შეიძლება არ მოიმატოს, რაც გულის კუნთის ფუნქციის დაქვეითებით არის გაპირობებული.

ორგანიზმის რეაქციის განსაზღვრა დატვირთვაზე ხდება არა-მარტო მაჯისცემის სიხშირით და სისხლის წნევის გაზომვით, არა-მედ ისეთი სუბიექტური მონაცემებითაც, როგორიცაა კარგი გუნებგანწყობა, თვითგრძნობა და სხვ. ერთეული ექსტრასისტოლების (გამოვარდნების) დროს უნდა თვალყური ვაღევნოთ მათ დინამიკას (გაქრა, შემცირდა, გაძლიერდა).

ვარჯიშის დროს გულის არეში სუსტი ტკივილების (სპაზმების) დროს ავადმყოფს ვასვენებთ, ხოლო თუ დასვენების დროს ტკივილი მოეხსნა, განვაგრძობთ იოლ ვარჯიშს.

როგორც ირკვევა, ვარჯიშის ჩატარების შემთხვევაში მაჯისცემის აჩქარება, იშვიათი ექსტრასისტოლები, ყრუ ტკივილები გულის არეში, დაბალი წნევა და ჩონჩხის კუნთის სისუსტე არ წარ-

მოადგენს წინააღმდეგჩვენებას სამკურნალო ფიზკულტურის პრო-  
ცედურისათვის. ხოლო უეცარი ძლიერი სისუსტის განვითარება,  
თავბრუ, ქოშინი და გულის არეში ტკივილი ძირითადი წინააღ-  
მდეგჩვენებაა, რომლის შემთხვევაში ავადმყოფმა უნდა შეწყვი-  
ტოს გარჯიში და მიმართოს ექიმს.

ავადმყოფს, სამკურნალო ტანვარჯიშთან ერთად, შეიძლება  
დაენიშნოს (თუ არის ამის საშუალება) ქვემო კიდურების მასაჟი,  
როგორც დამხმარე მატონიზირებელი საშუალება.

თუ ავადმყოფს თანდართული აქვს ჰიპერტონიული დავადება,  
კერ უნდა ივარჯიშოს იმ კომპლექსით, რომელიც გულის ინფარ-  
ქტის შემდგომ სამ პერიოდში არის მოწოდებული, ხოლო შემდეგ  
კი გადავიდეს ჰიპერტონიის მკურნალობისათვის შედგენილ ვარ-  
ჯიშთა კომპლექსზე.

# სამძრელი ტანკის გადატვის პროცესის გულის ინფარქტის გამდგომი პირითის პირზე პირზე პირზე პირზე

(მწოდიარე რეჟიმი)




**გარჯიში 1.** საწყისი მდგომარეობა (ს. მ.) — ზურგზე წოლი (მაღალი სასთუმლით). ხელები ტანის გასწვრივ იდაყვებული ადნავ მოხრილი; მშვიდი რიტმული სუნთქვა გახანგრძლივებული ამოსუნთქვით


2—4-ჯერ.




**გარჯიში 2.** ს. მ.— ზურგზე წოლი, ხელები ტანის გასწვრივ; თვლაზე 1 ორივე ხელის თითების მოხრა მუშტში;  
„ 2—ორივე ხელის თითების გაშლა.  
ნელ ტემპში, 4—8-ჯერ.



**გარჯიში 3.** ს. მ.— ზურგზე წოლი (მაღალი სასთუმლით), ხელები ტანის გასწვრივ იდაყვებული ადნავ მოხრილი; მშვიდი რიტმული სუნთქვა გახანგრძლივებული ამოსუნთქვით. 2-ჯერ.



**გარჯიში 4.** ს. მ.—ზურგზე წოლი;  
 თვლაზე 1—ტერფების ერთდღროულად მოხრა;  
 „ 2—ტერფების ერთდღროულად გაშლა.  
 ზომიერ ტემპში, 4-8-ჯერ.



**გარჯიში 5.** ს. მ.—ზურგზე წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;  
 თვლაზე 1—ხელის გულები ზემოთ, შესუნთქვა;  
 „ 2—ხელის გულები ქვემოთ, ამოსუნთქვა.  
 ნელ ტემპში, 4—6-ჯერ.




**გარჯიში 6. ს. მ.**—ზურგზე წოლი;

თვლაზე 1—მარცხენა ფეხის ნახევრად მოხრა (ან, მთლიანად) ტერფის საწოლზე სრიალით-შესუნთქვა;

„ 2—მარცხენა ფეხის გაშლა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა;

„ 3-4—იგივე მეორე ფეხით.

ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.



**გარჯიში 7. ს. მ.**—ფეხშლით წოლი;


თვლაზე 1—2—მარჯვენა ფეხის გაღაჭვარედინება მარცხენაზე;

„ 3—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;

„ 4—პაუზა;

„ 5-8—იგივე მარცხენა ფეხით.

ზომიერ ტემპში, 2—4-ჯერ.




**ვარჯიში 8. ს. მ.** — ზურგზე წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;

თვლაზე 1—2 — ხელები მხრებთან, შესუნთქვა;

„ 3—4 — საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა.

ნელ ტემპში, 4—8-ჯერ.




**ვარჯიში 9. ს. მ.** — ზურგზე წოლი;

ტერთების რიგრიგობით მოხრა, ზომიერი ძალდატანებით.


ნელ ტემპში, 4—6-ჯერ.




**გარჯიში 10.** ს. მ.—ზურგზე წოლი;  
 თვლაზე 1—თავის მობრუნება მარცხნივ;  
 ” 2—თავი პირდაპირ;  
 ” 3—თავის მობრუნება მარჯვნივ;  
 ” 4—თავი პირდაპირ.  
 ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.





**გარჯიში 11.** (ინდივიდუალური ჩვენების მიხედვით)  
 ს. მ.—ზურგზე წოლი;  
 მარცხენა ფეხზე დაყრდნობით მობრუნება  
 მარჯვენა გვერდზე, პაუზა.  
 მარჯვენა იდაყვზე დაყრდნობით საწყის მდგო-  
 მარეობაში დაბრუნება.  
 ნელ ტემპში, 1—2-ჯერ.




**გარჯიში 12.** ს. მ.—ზურგ-  
 ზე წოლი.  
 ნებისმიერი მშვიდი  
 სუნთქვა (დასვენება).  
 1—2 წუთი.



**ვარჯიში 13.** ს. მ.—ზურგზე წოლი;  
ფეხები მოხრილი;  
თვლაზე 1-2—მენჯის აწევა, კეფა-  
ზე, იდაყვებზე და ტერფებ-  
ზე დაყრდნობით;  
„ 3-4—საწყის მდგომარეო-  
ში დაბრუნება.  
ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.




**ვარჯიში 14.** ს. მ.—ზურგზე წოლი;  
თვლაზე 1—მაჯების მოხრა და ტერფების გაშლა;  
„ 2—მაჯების გაშლა და ტერფების მოხრა.  
ზომიერ ტემპში, 6—8-ჯერ.



**ვარჯიში 15.** ს. მ.—ზურგზე  
წოლი;  
მშვიდი, ნებისმიერი  
სუნთქვა (დასვენება).  
1—2 წუთი.

სამკურნალო ტანვარჯიშის პოვალების გულის ინფარქ-  
ტის უვალგომ პირველი პერიოდის მიღრე პირველი

(მწოდიარე რეჟიში)



**ვარჯიში 1.** ს. მ.—ზურგზე წოლი,  
ფეხები მოხრილი, მარჯვენა ხე-  
ლი გულმკერდზე, მარცხენა—  
მუცელზე;

გულმკერდ-დიაფრაგმული სუნთქვა  
განანგრძლივებული  
ამოსუნთქვით. 2—4-ჯერ.




**ვარჯიში 2.** ს. მ.—ზურგზე წოლი, ხელები ნახევრად მოხრილი  
იდაყვებში;


თვლაზე 1—დაძაბვით ხელის თითების და ტერფე-  
ბის ერთდროული მოხრა;  
„ 2—ხელის თითების და ტერფების გაშლა.  
ზომიერ ტემპში, 6—8-ჯერ.



**ვარჯიში 3.** ს. მ.—ზურგზე წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;  
თვლაზე 1-2—განკლავი ნებებით ზემოთ, შესუნთქვა;  
„ 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება,  
ამოსუნთქვა.  
ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.



**ვარჯიში 4.** ს. მ.—ზურგზე წოლი, მარჯვენა ფეხი  
მოხრილი, ხელები ტანის გასწვ-  
რივ;  
თვლაზე 1-2—მარჯვენა ფეხის გაშლა და  
მარცხენა ფეხის მოხრა ერთ-  
დროულად.  
„ 3-4—მარცხენა ფეხის გაშლა და  
მარჯვენა ფეხის მოხრა ერთ-  
დროულად.  
ნელ ან საშუალო ტემპში, 4-ჯერ.



**ვარჯიში 5.** ს. მ.—ზურგზე წოლი;  
მშვიდი რიტმული სუნთქვა. 2—4-ჯერ.





**გარჯოში 6.** ს. მ.—ზურგზე წოლი;

თვლაზე 1-2—მარცხნა ფეხის განზიღვა, მუხლის  
მოხრით;

„ 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;

„ 5-8—იგივე მარჯვენა ფეხით.

ნელ ან საშუალო ტემპში, 4-ჯერ.



**გარჯოში 7.** ს. მ.—ზურგზე წოლი; ხელები ტანის გასწვრივ;


თვლაზე 1—ხელები მხრებთან, თითები მუჭში;

„ 2—თითების გაშლით განმკლავი;


„ 3—ხელები მხრებთან, თითები მუჭში;

„ 4—ხელები ტანის გასწვრივ.

ზომიერ ტემპში, 2—4-ჯერ.




**გარჯიში 8. ს. მ.**—ზურგზე წოლი;  
თვლაზე 1—თავის მობრუნე-  
ბა მარჯვნივ;  
" 2—თავი პირდაპირ;  
" 3—თავის მობრუ-  
ნება მარცხნივ;  
" 4—თავი პირდაპირ;  
" 5-8—თავი ზემოთ  
და ქვემოთ.  
ნელ ტემპში, 1—2-ჯერ.



**გარჯიში 9. ს. მ.**—ზურგზე წოლი, ფეხები მოხრილი;  
თვლაზე 1-2—მენჭის აწევა კეფაზე, იდაყვებზე და  
ტერფებზე დაყრდნობით;  
" 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.  
ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.





**ვარჯიში 10.** ს. მ.—ზურგზე წოლი, მშვიდი ნებისმიერი სუნთქვა (ღასვენება).  
60—40 წამი.





**ვარჯიში 11.** ს. მ.—ზურგზე წოლი. ავადმყოფის ჭდომაში (გა-აღვილებული) გადასვლა.  
ჭდომა საწოლზე 2—3 წუთი. შემდეგ დაწოლა.

სამკურნალო ტანვარჯიშის კომპლექსი გულის იცვალე-  
თის უეფლებობის II პერიოდის პირველ კვირაში

(ნახევრად მწოლიარე რეჟიმი)



**გარჯიში 1.** ს. მ.—ზურგზე წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;  
თვლაზე 1-2—დოინჭი, შესუნთქვა;  
" 3-6—ხელები ტანის გასწვრივ, ამოსუნთქვა;  
" 7-8—პაუზა.  
ნელ ტემპში, 4—6-ჭერ.



**გარჯიში 2.**


სიარულის იმიტაცია წოლში.  
ნელ ან ზომიერ ტემპში, 4—8-ჭერ.




**გარევიში 3. ს. მ.**—ზურგზე წოლი, ფეხები მოხრილი, მარჯვენა ხელი გულმკერდზე, მარცხენა მუცელზე; გულმკერდ-დიაფრაგმული სუნთქვა გახანგრძლივებული ამოსუნთქვით, 2—4-ჯერ.




**გარევიში 4. ს. მ.**—ზურგზე წოლი;  
ავაღმყოფის გააღვილებული გადასვლა ჯდომში.



**გარჯიში 5.** ს. მ.—ჭდომი, ხელები მხრებთან;  
მხრების წრიული მოძრაობა.  
ნელ ტემპში, 4-8 თვითეულ მხარეს.



**გარჯიში 6.** ს. მ.—ჭდომი სკამის ნაპირზე, სკამის ზურგზე  
მიყრდნობით;  
თვლაზე 1—ტერფების მოხრა, ხელები მუჭქში (დაძაბვით);  
" 2—ტერფებისა და ხელის თითების გაშლა.  
ზომიერ ტემპში, 6—8-ჭერ.



ვარჯიში 7. ს. მ.—ჯდომი სკამის ნაპირზე, ფეხები გამართული,  
დოინგი;

თვლაზე 1-2—ფეხები განზე, განმქლავი, შესუნთქვა;

„ 3-4 —საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამო-  
სუნთქვა.

ზომიერ ტემპში, 4—6-ჯერ.



ვარჯიში 8. ს. მ.—ჯდომი, დოინგი;

მშვიდი რიტმული სუნთქვა.

4—6-ჯერ.



**ვარჯიში 9.** ს. მ.—ჯდომი, ხელების დაყრდნობით სკამის  
ნაპირებზე, მარჯვენა ფეხი მოხრილი, მარცხენა  
გამართული;

თვლაზე 1—მარჯვენა ფეხის გამართვა, მარცხენასი  
მოხრა (ერთდროულად);

„ 2—მარცხენა ფეხის გამართვა, მარჯვენასი  
მოხრა.

ზომიერ ტემპში, 4—8-ჯერ.



**ვარჯიში 10.** ს. მ.—ჯდომი, მიმკლავი;


თვლაზე 1-2—ხელების მოხრა, თითები მუჭქში, შესუნთქვა;

„ 3-4—ხელების გაშლა საწყის მდგომარეო-  
ბაში, ამოსუნთქვა.


ნელ ტემპში, 4—6-ჯერ.




გარჯიში 11. მშვიდი, რიტმული სიარუ-  
ლი ოთახში. 1—2 წუთი.



გარჯიში 12. ს. მ.—ზურგზე წოლი მაღა-  
ლი სასთუმლით, ნებისმიერი  
სუნთქვა.  
(დასვენებით), 2—3 წუთი.



**გარჯოში 13.** ს. მ.—ზურგზე წოლი წინამხრებზე დაყრდნობით;  
თვლაზე 1-4—თავის მობრუნება მარჯვნივ—უკან,  
მარცხნივ—წინ;  
„ 5-8—თავის მობრუნება საწინააღმდეგო  
მიმართულებით.  
ნელ ან საშუალო ტემპში, 2—4-ჯერ.



**გარჯოში 14.** ს. მ.—ზურგზე წოლი, მა-  
ლალი სასთუმლით;  
ნებისმიერი სუნთქვა (დასვენება). 2—4 წუთი.

სამეცნიერო ტანცარჯიშის ძრავების გულის ინფარ-  
ტის უმჯდომა ॥ პარიოდის მიორე ძვირეულები

(ნახევრად მწოლიარე რეფიში)



**გარჯიში 1. ს. მ.** —  
ჭდომი, ხელები  
ბარძაყებზე;  
თვლაზე 1-2 — გან-  
მკლავი, ნებები ზე-  
მოთ, გულმკერ-  
დში გაზნექი, შე-  
სუნთქვა;  
„ 3-4 — საწყის  
მდგომარეობაში  
დაბრუნება, ამო-  
სუნთქვა.  
ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.



**გარჯიში 2. ს. მ. ჭდომი;**

თვლაზე 1 — წინკლავი;  
„ 2 — ზემკლავი, თავი ზემოთ;  
„ 3 — განმკლავი;  
„ 4 — მიმკლავი;  
ზომიერ ტემპში, 2—3-ჯერ.



ვარჯიში 3. ს. მ.—ჭდომი, დოინგი;  
თვლაზე 1-2—შესუნთქვა;  
„ 3-6—ამოსუნთქვა;  
„ 7-8—პაუზა.  
2-ჯერ.




ვარჯიში 4. ს. მ.—ჭდომი;  
„სიარული“ ჭდომში.  
საშუალო ტემპში, 8-12 „ნაბიჭი“.



**გარჯიში 5.** ს. მ.—ჭდომი, დოინჯი;

თვლაზე 1-4—თავის ტრიალი მარჯვნივ—უკან,  
მარცხნივ—ქვევით.

„ 5—8-იგივე მეორე მხარეს.  
ნელ ტემპში, 1—2-ჯერ.



**გარჯიში 6.** ს. მ.—ჭდომი, ფეხები მოხრილი, დოინჯი;

თვლაზე 1-2—გაზნექი, შესუნთქვა;

„ 3-4—ფეხების გაშლა და ხელების გაცუ-  
რებით ბარძაყებზე და წვივებზე წინ-  
ზნექი, ამოსუნთქვა;

„ 5-6—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება,  
შესუნთქვა;

„ 7-8—ამოსუნთქვა, პაუზა.  
ზომიერ ტემპში, 4-ჯერ.




**გარჯოში 7. ს. მ.**—ჭდომი, ღოინჯი;

თვლაზე 1-2—ტანის ბრუნი მარჯვნივ ღუნ-გან-  
მკლავი,—ამოსუნთქვა;

„ 3-4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება,  
შესუნთქვა;

„ 5-8—იგივე მარცხნივ.  
ზომიერ ტემპში, 2—4-ჯერ.



**გარჯოში 8. ს. მ.**—ჭდომი, ხელები მხრებთან, თითები მუჭში.

თვლაზე 1—წინკლავი თითების გაშლით (ღაძაბ-  
ვით);

„ 2—საწყისი მდგომარეობა;


„ 3—ზემკლავი თითების გაშლით (ღაძაბ-  
ვით);

„ 4—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება,  
ზომიერ ტემპში, 4—6-ჯერ.





**გარჯიში 9.** ს. მ.—ჭდომი, დოინგი;  
თვლაზე 1-2—შესუნთქვა;  
„ 3-6—ამოსუნთქვა;  
„ 7-8—პაუზა.  
ზომიერ ტემპში, 2—4-ჯერ.




**გარჯიში 10.** ს. მ.—მარჯვენა გვერდით დგომბჯენი სკამის ზურგ-  
ზე, მარცხენა ხელი დოინგში;  
თვლაზე 1—მარცხენას წინფეხებნევი.  
„ 2—უკუფეხაქნევი.  
საშუალო ტემპში, 4—8-ჯერ.  
იგივე მეორე ფენით.




**ვარჯიში 11.** ს. მ.—დგომი, დოინჯი;  
თვლაზე 1-2—შესუნთქვა;  
„ 3-6—აძლისუნთქვა.  
2—3-ჯერ.



**ვარჯიში 12.** მშვიდი რიტმული სიარული.  
2—3 წუთი.




**ვარჯიში 13.** ს. მ.—ზურგზე წოლი;  
ტერფების და ხელის თითების მოხრა და გაშლა.  
ჩქარ ტემპში, 6—8-ჯერ.




**ვარჯიში 14.** ს. მ.—ზურგზე წოლი,  
სტატიური სუნთქვა ნებისმიერ  
რიტმში (დაკვენება).

**საგურისალო ტაცეარჯიშის პოვალების გულის ინვარჩ-  
ტის უმდგომ III (წრთვნის) პრიორდზი**



**ვარჯიში 1. ს. მ.—**  
ფეხშლით დგომი;  
თვლაზე 1-2—ცერებზე  
აწევით განმ-  
კლავი ნებებით  
ზემოთ, გაზნექი  
გულმკერდის არე-  
ში, შესუნთქვა;  
„ 3-4—საწყის მდგო-  
მარეობაში დაბ-  
რუნება, ამოსუნ-  
თქვა.

ნელ ტემპში, 2—3-ჭერ.



**ვარჯიში 2. ს. მ.—ძირითადი დგომი;**


თვლაზე 1—წინკლავი;

„ 2—ზემკლავი, თავი ზემოთ;

„ 3—განმკლავი;

„ 4—მიმკლავი.


საშუალო ტემპში, 2—3-ჭერ.




**ვარჯიში 3.** ს. მ.—ფეხშლით დგომი, დოინგი;  
 თვლაზე 1-2—შესუნთქვა;  
 • 3-6—ამოსუნთქვა;  
 " 7-8—პაუზა.  
 2—4—ჯერ.




**ვარჯიში 4.** სიარული ოთახში.  
 1-2—წუთი, ნელ ტემპში.



**ვარჯიში 5.** ს. მ.—ფეხშლით დგომი. განმკლავი (ვარჯიში  
კილოგრამიანი განტელებით);  
თვლაზე 1-2—ხელების იდაყვებში მოხრა;  
„ 3-4—განმკლავი.  
ზომიერ ტემპში, 6—8-ჯერ.




**ვარჯიში 6.** ს. მ.—დგომი, ღოინჯი;  
თვლაზე 1—ნახევრად ბუქნი, წინქლავი;  
„ 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.  
4—6-ჯერ.



**გარევიში 7.** ს. მ.—ფეხშლით დგომი, დოინჭი;  
თვლაზე 1-2—ორი დრეკადი უკუზნექი;  
" 3-4—ორი დრეკადი წინზნექი.  
ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.




**გარევიში 8.** ს. მ.—ძირითადი დგომი;  
თვლაზე 1—ზნექი მარჯვნივ;  
" 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;  
" 3-4—იგივე მეორე მხარეს.  
ნელ ტემპში, 2—4-ჯერ.



**გარჯიში 9.** ს. მ.—ფეხშლით დგომი, დოინჯი;  
 თვლაზე 1—ტანის ბრუნი მარჯვნივ, ღუნგამკლავი, ამოსუნთქვა;  
 „ 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, შესუნთქვა;  
 „ 3-4—იგივე მეორე მხარეს.  
 ზომიერ ტემპში, 2—4-ჯერ.



**გარჯიში 10.** ს. მ.—ჯდომი,  
 ნებისმიერი სუნთქვა; დასვე-  
 ნება  $1-1 \frac{1}{2}$  წუთი.



**გარჯიში 11.** ს. მ.—დგომბჭენი სკამის ზურგზე;  
 თვლაზე 1—მარცხენა ფეხის მარცხნივ აქნევი;  
 „ 2—საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;  
 „ 3-4—იგივე მარჯვენა ფეხით.  
 4—6-ჯერ.



**გარჯიში 12.** დასვენება სიარულში.

## Ց Ա Տ Ա Խ Ե Ս Ո

Սամցուրնալու Ծանցարչութիւնը կոմիտեյի գուլու օնդարյերին Շեմդցոմ პօրցելու პերուդու պօրցել քաօրեցունշո . . . . .	8
Սամցուրնալու Ծանցարչութիւնը կոմիտեյի գուլու օնդարյերին Շեմդցոմ პօրցելու պերուդու մեռք քաօրեցունշո . . . . .	14
Սամցուրնալու Ծանցարչութիւնը կոմիտեյի գուլու օնդարյերին Շեմդցոմ II պերուդու պօրցել քաօրեցունշո . . . . .	19
Սամցուրնալու Ծանցարչութիւնը կոմիտեյի գուլու օնդարյերին Շեմդցոմ II պերուդու մեռք քաօրեցունշո . . . . .	26
Սամցուրնալու Ծանցարչութիւնը կոմիտեյի գուլու օնդարյերին Շեմդցոմ III (Վրացնու) պերուդունշո . . . . .	33

Жгенти Кетевана Константиновна  
Авалиани Николай Аполлонович

**Лечебная гимнастика на  
дому после инфаркта сердца**

(На грузинском языке)

Издательство  
„Сабчота Сакартвело“  
Тбилиси, Мирджанишвили, 5  
1965

საზოგადოებრივი რედაქტორი დოც. რ. სვანიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ც. ვანიძე  
მხატვარი თ. გოგოლაძე  
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე  
კორექტორი თ. ცინცაძე

ნელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-65 წ.  
ქალალდის ზომა 60X84 1/16. ნაბეჭდი  
თაბახი 226. სააღრიც-საგამომც. თაბახი 1,34.  
უ 10080. ტირაჟი 2000. შეკვ. № 135

**ფახი 5 კაპიკი**

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5